KA030184584041519

№ 01-5675 **06 / ივნისი / 2019 წ.**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის მინისტრს ბატონ
დავით სერგეენკოს

ანალიტიკის, ადამიანური რესურსების მართვისა და
საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის
უფროსის, პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელის სოფიკო ბელქანიას

მოხსენებითი ბარათი

ბატონო დავით,

მოგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 17 ივნისს ბელგიაში ქ. ბრიუსელში გაეროს ეკონომიკური კომისიის მიერ დაგეგმილია შეხვედრა აქტიური სიბერის ინდექსის დანერგვის საკითხებზე.

აღნიშნულ ვიზიტში მონაწილეობის მიღების მიზნით მიწვეულია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის პოლიტიკის სამმართველოს უფროსი, მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ქეთევან გოგინაშვილი, როგორც გაეროს ეკონომიკური კომისიის დაბერების საკითხებზე სამუშაო ჯგუფის წევრი.

ვიზიტში მონაწილეობის ხარჯები (მგზავრობა, სასტუმრო და დღიური ნორმა) ანაზღაურდება გაეროს ეკონომიკური კომისიის მიერ.

თქვენი თანხმობის შემთხვევაში, უზრუნველვყოფთ შესაბამისი მივლინების ბრძანების გაფორმებას ქალბატონი ქეთევან გოგინაშვილისთვის მიმდინარე წლის 16 ივნისიდან 18 ივნისის ჩათვლით.

პატივისცემით,

ანალიტიკის, ადამიანური რესურსების
მართვისა და საერთაშორისო ურთიერთობების
დეპარტამენტის უფროსი, პირველადი
სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

სოფიკო ბელქანია